ცნობის ფურცელი

სურათებიანი დამატება

ამატების № 20. სამშაბათი, 25 დეკემბერი 1901 წ. გაზეთი № 1681

# პირველი მოწაფე

(სამღვთო ლეგენდა)

I

კარგა ხანია თამარის დედამ გაიღვიძა და საქონელს და რინველს მოუარა; კარმიდამო მიასუფთავა და ახლა სახლის გვა აიწყო. თამარს კი ისევ ეძინა და დედაც არ აღვიძებდა. თუმცა არიბად ცხოვრობდნენ, მაგრამ მაინც დედ-მამას განებივრე-ული ჰყვანდათ თამარი. ან კი როგორ არ გაანებივრებდნენ, ოდესაც ხუთ შვილში ეს ერთი-ღა შერჩათ. თამარი თ ვის ება იყო და რასაც მოისურვებდა, იმას აკეთებდა. „წინ ზიხარ ა უკან დაიწიეო —ხომ ვერავინ ეტყოდა სახლში, და არც რავინ გარედ, რადგანაც მეზობლებსაც ძალიან უყვარდათ თამა-ი. ის მეტის-მეტად მოხდენილი და სათნოიანი იყო და იქმ-ება მხოლოდ ამისთვის უყვარდათ მეზობლობას. თვალში რომ ავარდნოდათ, ხელს არ მოისვამდნენ, ყველანი ისე სიყვარულით ქცეოდნენ...

დედამ სიყვარულით გადაჰხედა თამარს, როდესაც ის და-ვის დროს მიუახლოვდა, და ცოტა ხანს შესდგა.

— დედი! —წამოიძახა თამარმა ამ დროს და თვალები მო-ფშვნიტა.

— რა გინდა, შვილო? — სიყვარულით ჰკითხა დედამ და რძელ შავ-ხუჭუჭა თმაზედ ხელი გადაუსვა.

— დედი! — კიდევ წამოიძახა თამარმა და, თითქოს მარმა-რილოსაგან გამოქანდაკებულიაო, შიშველა მკლავები დედას კი-სერზე მოჰხვია.

— რა იყო, შვილო!—უფრო ტკბილად ჩასჩურჩულა და ღვივებული ტუჩები ჩაუკოცნა.

— გახსოვს, დედი, მამამ რომ იმ დღეს მესსიაზე გვიამბო?!

— როგორ არა, შვილო, ხშირად გამიგონია მამიჩემისა-განაც.

— ჰო, ეხლა ხან არ გვიამბო, მესსია უნდა ბეთლემს და-იბადოსო.

— აგრე მოგვითხრობს ჩვენი რჯულის წიგნი.

— შორს არის აქედან ბეთლემი?

— შორს არ არის, მაგრამ შუაში უდაბნო გვიძევს.

თამარმა მოაშორა მკლავები დედის კისერს და ჩაფიქრდა. დედა კი აფიქრებული დასცქეროდა თამარს და, თითქოს პირ-ველად ჰხედავსო, აღტაცებაში მოდიოდა იმის სიმშვენიე-რით.

— მოიცა!—უეცრივ წამოჯდა ლოგინში, თავი კარების-კენ გადახარა და მთლად სმენად გარდიქცა.

— რა დაგემართა...

— მოიცა!.. ის არის, ის!... მეძახის!—ნაწყვეტ-ნაწყვე-ტად წარმოსთქვა, ცალმხრივად ღართი მოიგდო და...

— აღარ მეტყვი, შვილო, რა მოგივიდა?—შეშინებულის ხმით ჰკითხა დედამ და ხელები მოჰხვია.

თითქოს გასაქცევად ემზადებაო, საჩქაროდ შემოიჭირა სარტყელი, შუბლიდან თმა უკან გადიშალა და ჩანახევით და-იმღერა.

— შვილო, გამიგონე! — თითქმის ტირილით მიჰმართა დე-დამ და გულზე მიიკრა.

დედის ხმამ გონს მოიყვანა თამარი. შეეცოდა დედა, ასე შეშინებული რომ დაინახა, და მთრთოლვარე ხმით გადაეხვია დედას:

— დედი, დედი!—მეტის თქმა ველარ მოახერხა, რადგა-ნაც გული ამოუჯდა და ქვითინი დაიწყო.

დედაც ატირდა. ორივე ქვითინებდა და ერთმანეთს ცრემ-ლით ასველებდა.

— შვილო, მაინც არ მეტყვი, რა გაშფოთებს, ან ვისი ხმა გეძახდა?—ჰკითხა დედამ, როდესაც ორივემ გული მოიო-ხეს, და თვალი თვალს გაუყარა.

— იქმნება... — დაიწყო ისევ დედამ, რაკი თამარი ჩაფიქრე-ბული იდგა და ხმას არ იღებდა.

— დედი,—შეაწყვეტინა დედას სიტყვა:— ეს სამი დღეა, რაც მოსვენება არა მაქვს. დღე და ღამ ყრმა მეძახის: „რას უზიხარ და ბეთლემს არ წახვალო?! თამარ, თამარ, ბეთლემს წადიო!“ სიზმარში კიდევ ვხედავ ჩემ თავს: მაღლა, მაღლა, სულ მაღლა, მთებზე მაღლა, მზეზედაც მაღლა მივქანავ და გარინდული ღრუბლებში ვეხვევი, ყრმის ხმა კი თავისკენ მი-წვევს და მიწვევს. აი წუხელისაც მაგრევე ვნახე ჩემი თავი, ასევე ჩაცმული, როგორც შენ წინ ეხლა ვდგევარ. დედი, მე-გონა იმ ხმას მივუახლოვდებოდი, მაგრამ გამომეღვიძა...



— შვილო, შენ ლებიტის ჩამომავალი ხარ!...—მეტი ვერა მოახერხა-რა დედამ პასუხად და თვალები მაღლა სასოებით ამართა.

— დედი, რა ვქნა?! ველარ გავუძლებ ამ ხმას!...

— შვილო, უკვე ჩვიდმეტის წლისა ხარ, იქნება, ჩვენი სოფლის ყმაწვილი მოგეწონა ვინმე?—ცოტა ჩაფიქრების შემ-დეგ წყნარად და მოკრძალებით ჰკითხა დედამ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

II

დილა ადრიანად გამოვიდა მეუდაბნოვე არონი თავის მიწურ ბინიდან და გულ-ხელ დაკრეფილმა სივრცეს მზერა დაუწყო. ფიქრობდა არონი სამყაროზე, მის შემოქმედზე და ანგარიშს ვერ აძლევდა თავის თავს. აგერ ათი წელიწადია, რაც განდეგილად ცხოვრობს უდაბნოში, ჯერ ისევ ჭაბუკი გამოექცა ცხოვრების მძულვარებას და მარტივი ცხოვრება დაიწყო: „სჭამდა მკალსა და თაფლსა ველურსა“, მის სამოსს შეადგენდა „თმა აქლემისა“, მუშაობდა ბევრს, ბევრსაც ფიქრობდა. ყოველივე ამას იტანდა არონი ამ ათი წლის განმავლობაში, რომ სულის სიმშვიდე მოეპოვა, მაგრამ ჰპოვა კი?... დღესაც იმავე საგანზე დაიწყო ფიქრი, რა საგანზედაც პირველ მოსვლაზე ჰფიქრობდა. მაშინ აღძრული კითხვა დღესაც უფრო დახლართულ კითხვად ეყენა გონების თვალის წინ...

თბილი, ღრუბლიანი დილა იყო და არონის უნებურად სასიამოვნოდ ულიზინებდა სხეულს; უნებურადვე მისი გონება ჩამოეცალა დახლართულ კითხვას და ცხოვრების სურათებში შესცურდა. წინ გადაეშალა მშობელთა სახლკარი, თავისი სოფელი და ისაც... ისაც... მშვენიერი ივდითიც მოსცურავდა და მთლად თავის სიმშვენიერებით მკაფიოდ აემართა წინ...

— ივდით!—წამოიძახა აკანკალებულის ხმით, წინ წაიხარა და ხელები მოსახვევად წაატანა.

ქალი შეკრთა ამ ხმაზედ. განცვიფრებით შეჰხედა და თავის გაქნევით დაბალის ხმით წამოიძახა:

— მე თამარი ვარ!...

არონი გონს მოვიდა: დაინახა, რომ მის წინ ივდითის ლანდი კი არა, ცოცხალი, ივდითზე უმშვენიერესი არსება იდგა. ერთ წამს ისიც შეკრთა და განცვიფრდა და უნებურად ჰკითხა:

— აქ რა გინდა?

— ბეთლემს მივდივარ!

— ბეთლემს, მარტოკა?

— ჰო! წუხელის გამოვეპარე ჩემ დედ-მამას.

— მერე იქ რა გინდა?

— მესსია მიწვევს იქ!

—მესსიააა?!—გაგრძელებით წარმოსთქვა არონმა და შუბლზედ თითი მიიდო...

— ჰო!

არონი ერთ წამს გაჩუმებული იდგა და ფიქრობდა. უეცრივ ის გააჟრჟოლა, თვალები აენთო და ხმის კანკალით დაიწყო:



— თამარ, მგონი, სთქვი: „თამარი მქვიანო“, დაანებე თავი მაგ მესსიას, რადგანაც შენ იმას ვერ ჰპოვებ. აგერ ათი წელიწადია აქ დავეძებ, ბევრ სხვასაც დავეძებ, მაგრამ ვერ მესსია და ვერც სხვა ვერ ვპოვე. შენ კი გიპოვე და...

— აქ კი არა, ბეთლემში იპოვი მესსიას.

— ვერც იქ, ჩემო კარგო, ვერც იქ! ისა სჯობია დღეს, აქ ჩემ ბინაში დავყოთ, და ხვალ კი მეც წამოვალ!—ორივე ხელები თავის შინისკენ გაიშვირა და პასუხს ელოდა.

— არა, მეჩქარება!——გულ-უბრყვილოდ უპასუხა თამარმა და წასვლა დააპირა.

— შენ ვერსად წახვალ!—მეტის მღელვარებით ძლივს წარმოსთქვა არონმა და თამარს ხელი მოჰხვია.

თამარი ათრთოლდა, თითქოს არონის ხელი გახურებული რკინა იყოსო, ისე დაუწვა სხეული, უნებურის წივილით გაუსხლტდა ხელიდან და მშველსავით გაჰქანდა...

არონმა უკან დადევნება განიზრახა, რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა, მაგრამ მეტის-მეტი მღელვარებით თავბრუ დაეხვა, გულის ცემა შეუდგა და გონება-მიხდილი წაპირქვავდა

თამარი კი გარბოდა, დედამიწას ფეხს აღარ აკარებდა და უკან ერთხელაც არ მოუხედნია...

III

შუა დღემ მოატანა, რომ წაადგა წინ ამართულ ს... კლდეებს, რომელთა შუა ვიწრო ადგილი იყო დატოვებული. თამარს, რაც მეუდაბნოე არონს გამოექცა, ფეხი არ ჩ... ფია. სულ სირბილით მოდიოდა და ანგარიშს აღარ აძლევდა თავის თავს: პირ-და-პირ ბეთლემისკენ მიდიოდა, თუ საი... ყრმის ხმაც აღარ იწვევდა. თამარი შესდგა კლდის წინ. ღრმა ამოისუნთქა და დაუფიქრებლივ შევარდა კლდეებ შუა. გავ... დოდა მეორე მხარეს, თუ ისევ უკან დაბრუნდებოდა, ... უფიქრია. მიდის თამარი. ეხლა ისე ჩქარა არ მიდის, როგორ... უდაბნოში. უფრო მორიდებით, უფრო სიფრთხილით უნდ... ეარნა, რადგანაც გაკვერილი გზა არ იყო. ხშირად ბობღავდ... კიდევაც.

გზა კლდეებ შუა გრძელი არ გამოდგა. უკანასკნელა... ხელმარჯვნივ მოუხვია და უხვმა შუქმა თვალები აუჭრა. შესდ... თამარი; მარცხენა ხელი კლდისგან გამოკვეთილ ქვას დააყრდნ... და წინ გაიხედა. თუმცა წინ დაცემული ადგილი უდაბნო... ჰგვანდა, მაგრამ აქ სიცოცხლის ნიშანი ცოტათი მაინც ეტყო... ბოდა. აქა-იქა ხეები, უფრო გრძელ ტოტებიანი ეკლის ჯირ... კვები გამცნევდნენ, რომ ბუნება აქაც სიცოცხლეს ხელ... უწყობს.



თამარმა უცბად უკვალობა იგრძნო. „სად ვარ?“—უნებურა... ჰკითხა თავის თავს და პასუხი ვერ მისცა. „მივაღწევ კი ბეთ...

# ჰერცოგოვინელი ქალი

(სერბთა ცხოვრებიდან)

**ს. ჩადრუჯიჩისა.**

ბობოტოვის სასაფლაოს მახლობლად შეტაკების ორი დღის წინად მეომართა უფროსთან მივიდა ერთი ახალგაზდა გერცოგოვინელი ვაჟი, რომელიც თექვსმეტის წლისაზე მეტი არ იქნებოდა და ამასთანვე არა ჩვეულებრივი ლამაზიც იყო: საკმაოდ ჩასხმული ტანისა, თეთრ-წითურა სახისა, როგორც „სისხლით ნასხურები თოვლი“ და ნახშირივით შავ თვალ-წარბა. შავი თმა თითქმის მხრებამდე სცემდა.

გაუბედავად მივიდა მეომართა უფროსთან და ხელზე ემთხვია.

— სადაური ხარ, ყმაწვილო?— შეეკითხა უფროსი და თან თვალს არ აშორებდა, ძალიან მოეწონა.

— ნევესინიიდან.

— რა გქვიან?

— სტანკო.

— ვისი შვილი ხარ?

— რანკოვიჩისა.

სარდალმა მარკომ ულვაშებზე დაიხედა და ორჯერ-სამჯერ ფეხი მიწას დაარტყა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო.

— რისთვის მოხვედი? ჰკითხა ჩაფიქრების შემდეგ.

— საომრად.

სარდალმა თავი დაიქნია, თითქო ამბობსო: „მეც მაგას ვფიქრობდი“, და ხელახლად ფეხი მიწას დაარტყა.

— ჯერ ხომ პატარა ხარ?

— მერე ეს რას მიშლის?— დაეკითხა ყმაწვილი და თვალები ძირს დახარა.

— გიშლის, მართლაც რომ გიშლის.—მიუგო სარდალმა.—ჩხუბი და სისხლის ღვრა ადვილი გგონია, მაგრამ ეს ასე არ არის; სცდები. ყველა შენსავით ახალგაზდა ყმაწვილები ძალიან მშიშარეები არიან; ბრძოლის ველზე რომ მიდიან, გეგონებათ ამათზე გულადი აღარავინ არისო, მაგრამ პირველ თოფის ხმას გაიგონებენ თუ არა, მაშინვე ფერი ეკარგებათ, უკან მირბიან და იმალებიან.

— მე ისეთთაგანი როდი ვარ.— უთხრა ყმაწვილმა.

— როგორ, შენ სხვებზედ კარგი რით უნდა იყო?

— მე თავის დღეში არც დავიმალები და არც უკან გავიქცევი... მე თოფისა არ მეშინიან... მიმიღეთ და მაშინ შეიტყობთ.

სარდალი ხელახლად ჩაფიქრდა, მერე თავი მაღლა აიღო და ახალგაზდა ყმაწვილს პირდაპირ თვალებში ჩააცქერდა.

— მაშ კარგი... მიგიღებ... მაგრამ, სწორე გითხრა, მე ეხლავ მზადა ვარ დაგენაძლევო, რომ ბრძოლის ველიდან პირველად შენ გაიქცევი... მაგრამ, დეე, შენი ნება იყოს! ახლა შენ ჩვენი ხარ, წადი ლაშქარში.

ყმაწვილი სარდალთან კიდევ მივიდა და ხელზედ ემთხვია, იმანაც თავზე ხელი გადაუსვა და ბუტბუტით უთხრა: „მშვიდობით“, და მერე მიიყვანა ამხანაგებთან, რომლებმაც ძმასავით მიიღეს.

ასეთი ჩვეულება აქვთ გერცოგოვინელებს.

—

ბობოტოვის სასაფლაოს მახლობლად გამწვავებულ ბრძოლის შემდეგ, მეომარნი ერთად შეგროვილიყვნენ, ერთმანეთს ათვალიერებდნენ და მხიარულობდნენ. სარდალი მათ შუა ჩამდგარიყო და ყველას თვითეულად ათვალიერებდა, ხომ არავინ აკლია და ან ავად ხომ არავინ არისო.

ერთი მეომარი კიდევ მოვიდა.

— ჩვენი სტანკო სადღა არის?—დაეკითხა ის.



**კენჭაობა.—სურათი მურილიოსი.**

ამ სიტყვებზე ყველანი დაჩუმდნენ, ერთმანეთს შეხედეს და ოთხივ-კუთხივ ცქერა დაიწყეს. სტანკო ვერ დაინახეს.

სარდალს გაუკვირდა. ეს იმას როგორღაც არ სჯეროდა... მისი გაქცევა ფიქრადაც არ მოსვლია, რადგანაც თავისი თვალით ნახა, რომ ისე ებრძოდა სტანკო მტრებს, როგორც ათ ომში გამოწვრთნილი გმირი. მისი სიკვდილი მარკოს ფიქ-

რადაც ??არ გაუტარებია: ამ ორ დღეში ისე მიიჩნია სტანკო, როგორც საკუთარი შვილი.



«ვიცოცხლოთ და ვნახავთ მომავალს».

სურათი მარი ნიკოლასი.

— რა დაემართა?-- ჰკითხა ისევ.

— არ ვიცით.—უპასუხეს მეომრებმა.

სარდალმა კბილები გააკრაჭუნა.

— ჩქარა მიპოვეთ!—დაუყვირა—ან ცოცხალი, ან მკვდარი, ეხლავ მიპოვეთ. ვინ იცის, სადმე დარჩა, დაიგვიანა. მოძებნეთ...

ახალგაზდა ბიჭებმა სარდლის ბრძანება მაშინვე აასრულეს და ოთხივ-კუთხივ გაიფანტნენ. მკვდრებს ათვალიერებდნენ და ბუჩქებში იხედებოდნენ, იქნება აქ სადმე იყოსო, მაგრამ ამაოდ.

ამ დროს რამდენიმე მეომარმა იპოვეს სტანკო იქვე მდინარის ნაპირას. საწყალი პირქვე ემხო და მის ქვეშ კი სისხლის მორევი იდგა, რომელიც უკვე შედედებულიყო და შავდებოდა. იმ წამსვე მისცვივდნენ და პირ აღმა გადმოაბრუნეს. სტანკოს მკვდრის ფერი დასდებოდა, თვალებიც დახუჭული ჰქონდა. სისხლში მოსვრილი თმა სულ გასწეწოდა.

— მკვდარია.—სთქვა ერთმა და სინჯვა დაუწყო.

მეორებიც მივიდნენ და დაუწყეს სინჯვა.

— არა. ჰსუნთქავს, ღმერთმანი ჰსუნთქავს!—წამოიძახა მეორემ.

ეს სიტყვებიც საკმარისი იყო... მაშინვე დანარჩენებმა წყალი მოარბეინეს და სტანკოს პირის ბანა დაუწყეს. პატარა ხნის შემდეგ სტანკოს ფერი გამოეცვალა, ლოყები გაუწითლდა. ვაჟები უფრო ბეჯითად მოიქცნენ და როგორც იყო თვალები გაახილა... ჯერ სტანკომ თითონაც არ იცოდა, სად იყო, რა დაემართა და რას უშვრებოდნენ და თვალები დახუჭა... მერე ისევ გაახილა და დასუსტებული ხმით მოითხოვა:

— წყალი!

ახალგაზდა ყმაწვილებმა მაშინვე წყალი დაალევინეს, მერე ფრთხილად ასწიეს და სარდალთან წაიყვანეს.

სარდალს ჯერ გაუხარდა, მაგრამ მერე კი დაღონდა: ჭრილობა საშიში აღმოჩნდა.

— თქვენ ეგ სახლში შეიყვანეთ და მე კი ეხლავ ექიმს გამოვგზავნი.

დაჭრილი სტანკო მაშინვე იქვე ახლოს ოთახში შეიყვანეს.

---

როდესაც ექიმი მოვიდა, სტანკო სრულ გრძნობაზე იყო და წყნარად იწვა; არა კვნესოდა და არც ოხრავდა, როგორც ჩვეულებრივად ახალგაზდა ყმაწვილებს ემართებათ. ექიმი მიუახლოვდა და ქილეტის ხსნა დაუწყო, რომ ჭრილობა გაესინჯა. მაგრამ სტანკო არ ნებდებოდა, ის სრულებით ამის წინააღმდეგი იყო. ექიმმა ჯერ სთხოვა, მაგრამ ამითიც რომ ვერას გახდა, ძალით გაუხსნა ქილეტი.

ჭროლივით თეთრი გულ-მკერდი დაინახა...

განცვიფრებული ექიმი იქვე გაშე...

სტანკო კი სრულიად გაწითლდა და მეტის სირცხვილისაგან სახე გვერდზე მიიბრუნა...

— შენ... ქალი ხარ...—უთხრა ჯერ კიდევ ასეთ საოცრებისაგან გამოურკვეველმა ექიმმა.

— კი,—წყნარად უპასუხა მან.

— ქმრიანი ხარ?

— ქალწული.

— შენი სახელი?

— სტანა.



ქალწული დედა.—სურათი ვან-ჰოგის.

ექიმმა ჭრილობა გაუსინჯა, მოჰბანა, შეუხვია, მერე კ... მის პირდაპირ დაჯდა და ცქერა დაუწყო.

სტანა თვალებს არ ანძრევდა და სულ გვერდზე იხედებოდა.

ბოლოს, ექიმს სიჩუმე მოეწყინა (საზოგადოდ, არას დროს არ შეეძლო მას ჩუმად ყოფნა) და გამოკითხვა დაუწყო:



ფიქრით გატაცებული.—სურათი კამილ ბერანჟესი

— ომში რისთვის წახველი?

— ისე...

— „ისე" თავის დღეში არ შეიძლება.. რატომ სხვა ქალებიც ასე არ შვრებიან? აქ რაღაც სხვა მიზეზი უნდა იყოს... შეიძლება ვისიმე საცოლე ხარ და იმასთან ერთად წახველ ომში?

— არა.

— შეიძლება ძმასთან?

სტანა წინანდელზე უფრო გაწითლდა და უთხრა:

— არა.

ექიმი ერთი ისეთთაგანი იყო, რომლებიც ამგვარი პასუხებით არ კმაყოფილდებიან. იმას უნდოდა თავიდან ბოლომდე ყველაფერი გაეგო, რადგანაც აქ რაღაცა „ისტორია" იფარებოდა, როგორც ამბობდა ხოლმე ის ამისთანა შემთხვევებში. ეხლა უფრო ვეღარ შესძლო შეეყენებინა თავისი ცნობის მოყვარეობა და ქალს ეფიცებოდა, რომ მის საიდუმლოს ალსარებასავით შეინახავდა და არავის არ გაუმჟღავნებდა, თუმცა თითონვე დარწმუნებული იყო, რომ ფიცის შენახვა მას არ შეეძლო.

ბოლოს, როგორც იყო, სტანა დათანხმდა და წყნარის ხმით ყველაფერი უამბო:

— „ჩვენ სოფელში ოცდა-ათ კომლამდეა, თითოდან ორი-სამი კაცი გამოვიდა თათრებთან საომრად, და რომელ კომლიდანაც არც ერთი არ წავიდა, ფიქრობენ, რომ ის კომლი ღვთისგან დაწყევლილია და ბრანკოვიჩის ჩამომავალიო*).

ჩვენს სახლობაზედაც ასეთი შეხედულება ჰქონდათ.

*) ბრანკოვიჩი თავისი თანა-მემამულეების მოღალატე იყო.

მე ერთი ოცი წლის ძმა მყავს, მაგრამ, ღმერთმა ნუ... იმისი თავი, როგორღაც კურდღელივით მხდალი და მშიშარაა. ომზე ფიქრისაც კი ეშინიან, თორემ ომში როგორღა წავიდოდა. მე და დედა ჩემი ყოველთვის ვეუბნებოდით, რომ სხვა ახალგაზდებს არ ჩამორჩენოდა და ომში წასულიყო, მაგრამ ვერაფერი შევასმინეთ.

— რად მინდა, სისხლი დავღვაროო...—ამბობდა ის,—უჩემოდაც იოლად წავლენო... მე არავის დაღუპვა არ მინდაო...

ჩვენ ბევრჯელ ვეცადეთ, როგორმე დაგვეყოლიებინა, მაგრამ, რაკი ვერა გავაწყეთ რა, თავი დავანებეთ. ამ დროს განმავლობაში სოფელში სხვა-და სხვა ცუდი ხმები გავრცელდა ჩვენზე: ზოგი რას ამბობდა და ზოგი რას.

ერთხელ დილით, როდესაც მე სამუშაოდ მივდიოდი, გზაში სამი-ოთხი ქალი მომეწია, სალამი მივეცი: „დილა მშვიდობისა"-მეთქი. მაგრამ იმათ პირზედაც არ შემომხედეს.

— მაგრე რატომ სჩადიხართ? —ვკითხე.

— ასეა, არ გვინდა შენთან ლაპარაკი. ბრანკოვიჩის ჩამომავალი ხარ, რომ შენი ძმა ომში არ წავიდაო.

თვალები დამიბნელდა. მეგონა მდუღარე წყალი გადამასხესო და კინაღამ იქვე კრიჭა შემეკრა... არ ვიცოდი, რა მექნა... როდესაც ისინი ცოტათი გამშორდნენ, ნამგალი გადავისროლე და შინ გავიქეცი. შევირბინე ჩემს ოთახში და დავიწყე ტირილი. დიდ ხანს ვიტირე, და ამის შემდეგ გული როგორღაც დამიმშვიდდა... ავდექი და დავფიქრდი, თუ რა მექნა?.. მართლაც, ხუმრობა ხომ არ არის, ჩვენს სახლობაზე ასეთი ჭორები ვრცელდებოდა... ჩვენს გვარში „ბრანკოვიჩები" არას დროს არ ყოფილან და ეხლა კი მის ჩამომავლად გვთვლიდნენ... გული ისე დამიმძიმდა, რომ ხელახლად თვალებზე ცრემლი წამომადგა.

ბევრიც არ მიფიქრია, მაშინათვე წამოვხტი და ომში წასვლა გადავსწყვიტე.. არ მინდა, ჩვენს სახლობაზე ცუდი ხმები გავრცელებულიყო. თუნდაც დავიღუპო, მაინც ომში წავიდე-მეთქი.




პატარა მათხოვარი. —სურათი პერროსი

და იმ დღესვე საღამოთი ჩავიცვი ჩემი ძმის ახალი ტანისამოსი და აქეთ გამოვსწიე.

ყველაფერი გიამბე“.

სტანა დაიღალა და ხმა შეუსუსტდა. მეტად განცვიფრებულ ექიმს პირი დაეღო და ისე უსმენდა, გეგონებოდათ, თითეულ სიტყვას ჰყლაპავსო. თვალები უბრწყინავდა და ხან-და-ხან თავის ქნევით უმატებდა: „ვაშა“!...„ყოჩაღ!“.

ექიმმა გადასწყვიტა, სტანას ისე მოუაროს, როგორც საკუთარ ქალს.

—

ამ ცოტა ხნის წინად მე ვნახე სტანა. ის ისეთივე ლამაზი და ტურფა იყო. ხელში თავისი პატარა ვაჟიშვილი ეჭირა და მის ფეხებთან კი ორი პატარა გოგონა თამაშობდა. სრულიად ბედნიერია და დარწმუნებულიც არის, რომ სხვა უკეთესი ბედი ქვეყანაზედ არც კი შეიძლება.

**ბაგრატ ბეთანელი.**

## მგზავრი

(შილლერიდან)

დღეთა ჩემთა გაზაფხულზე
მივატოვე მე სახლ-კარი,
დავივიწყე ყოველივე—
ოჯახი და მეგობარი.
მწირის ღარიბ სამოსელში
და ბავშვურის სიწრფელითა
დავადგი შარა გზას,
წინ მიძღვოდა რწმენა წმიდა.
და ამ რწმენით დავადგე გზას,
ვეძიებდი ჩემსა საგანს,
მესმა: ,,მგზავრო, მოთმინება!
მიაშურე აღმოსავალს!
იქ იხილავ უცხო ტაძარს,
იქ იხილავ საკურთხეველს,
ნახავ ყოველს მსოფლიოსას
გაბრწყინვებულს, ვითა ნათელს...“
დილა ბინდით იცვლებოდა,
ბინდსა დილა მოჰყვებოდა,
ვეძებდი და ვერ ვპოვე ის,
თითქო ჩემგან იმალვოდა.
აქა წყლებსა ვაწყდებოდი,
იქა—მაღალ მთისა ქედებს,
ავდიოდი კლდე და ღრეზე,
ნაკადულზე ვდგამდი ხიდებს.
უცებ ჩემს წინ გაჩნდა წყალი,
მიდიოდა აღმოსავლეთს,
მის ზვირთებზე ვხედავდი ნავს,
ნაპირისკენ მოქანავეს...
მსწრაფლ მივეცი ტალღებს თავი,
სასოებით სავსე სულით,
თვალი მოვკარ ჩემსა ბედსა,
რაც მიყვარდა წრფელის გულით...
მაგრამ, ვაი! ოკეანში
გაჩნდა უცებ ჩემი ნავი;
სივრცეს ნისლი ჰბურავს... კიდე
შორია და უხილავი.
და როგორც დღეს, საუკუნოდ
არა, აღარ შეერთდება
ცა და მიწა—იქაური
აქ არას დროს არ იქნება.

**მ. გობეჩია.**

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ალ. ჯაბადარი.


# განცხადებანი

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე“-ცნობის ფურცელ“-ზე

სურათებიანი დამატებით

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეცხრე)

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ-გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით . 10 მ. | 1 წლით. 13 მ. |
| 3 თვით . . 6 „ | 6 თვით . 7 „ |
| 6 „ . . 3 „ | 3 „ . 5 „ |

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

(წელიწადი მეშვიდე)

**ფასი გაზეთისა გაგზავნით:**

| კავკასიაში და რუსეთში: | საზღვარ გარეთ: |
|---|---|
| 1 წლით . . 6 მ. | 1 წლით . 9 მ. |
| 6 თვით . . 4 „ | 6 თვით . . 7 „ |
| 1 „ . . 75 კ. | 1 „ . . 90 კ. |

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა აქონდეს შემოტანილი.

## სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზე ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება საშივე გამოცემაზე: ზინგელად—6 მან. ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის და 5 მ ნ. ტფილისელთათვის 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.

**რედაქცია და კონტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქ., **ტელეფონი № 372**.

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и „Цнобисъ-Пурцели.“**

ნოემბრის ნომრიდან რედაქცია ჰბეჭდავს ჟურნალ «მოამბის» დამატებაში

## დ-რის ფოსტერის ფიზიოლოგიას

## სურათებით,

რომელიც დასრულდება იანვრის წიგნში.

1902 წ. თებერვლიდან ჟურნალ «მოამბის» დამატებაშივე, პოლოში, დაიწყება ბეჭდვა

## საზოგადო ისტორიის პირველი წიგნისა

## ,,ძველი საბერძნეთი“

ცნობილ მეცნიერის მ ო ნ ო ს კოლლექციიდან.

## სურათებით

ფრანგულიდან ნათარგმნი.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 24 декабря 1901 г. ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნ. გამომც. ქართ. ამხანაგობისა.